

შემაკავებელი ორდერის როლი და მნიშვნელობა ქალთა მიმართ ან/და
ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით



მეგი რიგვავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მეგი რიგვავა

21.06.2021

აბსტრაქტი

საქართველოში დღითიდღე მკაცრდება პოლიტიკა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან მიმართებით და კიდევ უფრო იხვეწება ამ მხრივ ბრძოლისა და პრევენციის მექანიზმებიც. მისასაღმებელია ამ კუთხით ეფექტური რეაგირების მხრივ - შემაკავებელი ორდერის არსებობა, რომელიც გამოიცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის³⁰ დღემდე ვადით, რომლის მიზანს მსხვერპლის დაცვა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ცალსახად შემაკავებელი ორდერის გამოცემა მნიშვნელოვანი პრევენციული მექანიზმია, რომელიც ერთგვარ ბერკეტს წარმოადგენს მოძალადისათვის მეორეული ძალადობის თავიდან აცილების პროცესში.შემაკავებელი ორდერის მოქნილი მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა მოძალადეს აუკრძალოს კომუნიკაცია და მიახლოება მსხვერპლთან, ასევე განრიდებულ იქნეს საცხოვრებელი სახლიდან, ხოლო ძალადობის განმეორების რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში აგრეთვე - დაწესდეს ელექტრონული ზედამხედველობაც.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემაკავებელი ორდერის გამოყენებისას პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და შემოთავაზებულ იქნა გარკვეული გადაჭრის გზები, ამასთანავე გაიცა რეკომენდაციებიც აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

საძიებო სიტყვები: შემაკავებელი ორდერი, ძალადობის განმეორების რისკების შეფასების ინსტრუმენტი, ელექტრონული ზედამხედველობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომელი.¹

¹მოცემული მონაკვეთი დამუშავებულია აკადემიური წერის ფარგლებში ნაშრომში „შემაკავებელი ორდერის როლი და მნიშვნელობა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით“

Abstract

In Georgia the policy towards women and/or domestic violence crimes is being tightened day by day, and the mechanisms for combating and preventing it are improved. The existence of a restraining order issued for up to 30 days by an authorized employee of the Ministry of Internal Affairs for the detection and prevention of violence against women and/or domestic violence, aimed at protecting the victim and restricting certain actions for the abuser, is welcomed in terms of effective response in this respect.

The issuance of a restraining order is an important preventive mechanism that serves as a kind of lever for preventing repeated violence. The flexible mechanism of the restraining order allows forbidding the abuser to communicate and approach the victim, as well as removing the abuser from the place of residence and, after the change, also - establishing electronic surveillance.

The study identified gaps that appear in practice, related to the use of restraining orders, and suggested ways to solve them, as well as recommendations for further improvement of this mechanism.

Keywords: Detention order, Risk assessment questionnaire, Electronic surveillance, Authorized employee of the Ministry of Internal Affairs.²

²This section is developed within the scopes of academic writing, in the paper „The role and importance of restraining orders in combating women and/or domestic violence“.